ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გარემოს დაცვის კომისიის სხდომის

ოქმი №44

24.05.2019 წ. ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

13:00 სთ

სხდომას ესწრებოდნენ:

გარემოს დაცვის კომისიის წევრები: ერეკლე კუხიანიძე (კომისიის თავმჯდომარე), გიორგი ტყემალაძე, ლევან ჯაფარიძე, თარაშ შურღაია, გიორგი დოხტურიშვილი, ლევან ხაბეიშვილი, ელენე ოზაშვილი.

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

საკრებულოს წევრები:

1. **რევაზ სოხაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
2. **ბექა დავითულიანი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
3. **თევდორე ისაკაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
4. **დავით უჯმაჯურიძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
5. **ვახტანგ შაქარიშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი.

მოწვეული სტუმრები:

1. **ალექსანდრე ტოგონიძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსი;
2. **გაიოზ თალაკვაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი;
3. **ეკატერინე ცეცხლაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი;
4. **გვანცა ნიკოლეიშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი.

სხდომის გახსნამდე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა და ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ ბ-ნმა რევაზ სოხაძემ დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა და აცნობა, რომ მიმდინარე სხდომა წარიმართება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის სრული დაცვით (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილების მუხლი 30) გარემოს დაცვის, ასევე, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიების ერთობლივი სხდომის ფორმატში.

ბ-ნი რევაზ სოხაძის სიტყვით გამოსვლის შემდეგ, გარემოს დაცვის კომისიის სხდომას თავმჯდომარეობდა: ერეკლე კუხიანიძე (კომისიის თავმჯდომარე).

სხდომის დღის წესრიგი:

1. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2019 წლის 22 აპრილის №12-0319111251-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/**მომხსენებელი:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი/

2. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2019 წლის 6 მაისის №12-03191261-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/**მომხსენებელი:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი/

3. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2019 წლის 21 მაისის №12-0319114129-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/**მომხსენებელი:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი/

4. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2019 წლის 21 მაისის №12-0319114130-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/**მომხსენებელი:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი/

5. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2019 წლის 21 მაისის №12-0319114133-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/**მომხსენებელი:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი/

6. **მიმდინარე საკითხი** - „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის №34-115 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2019 წლის 22 მაისის №12-031914291-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/**მომხსენებელი:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი/

სხდომის თავმჯდომარე ბ-ნი ერეკლე კუხიანიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის წევრთა მიერ მოწონებული იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს დღის წესრიგის პირველი საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2019 წლის 22 აპრილის №12-0319111251-03 წერილი)

სხდომის დღის წესრიგის პირველი საკითხი წარმოადგინა ქ-ნმა ე. ცეცხლაძემ.

მომხსენებლის (ე. ცეცხლაძის) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18

დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად დღის წესრიგში დადგა გარკვეული (მათ შორის, ტექნიკური ხარვეზებით გამოწვეული) ცვლილებების შეტანის საკითხი, რაც წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 19 აპრილის №19.452.617 განკარგულებით და დადგენილების პროექტის განმარტებითი ბარათის სახით (სულ: 1 წინადადება - №01190262-67).

მომხსენებლის (ე. ცეცხლაძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, **№01190262-67 განაცხადით,** ქალაქ თბილისში, დიდუბის რაიონში, მ. გელოვანის გამზირის (საკადასტრო კოდი: №01.13.04.004.016) მიმდებარედ, 1011.6 კვ.მ. ფართობზე მოთხოვნილია საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის (სსზ-2), სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) და საცხოვრებელი ზონა 6-ის (სზ-6) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება. სატრანსპორტო ზონის გაჩენის აუცილებლობა გამოწვეულია დაუსრულებელი მშენებლობის გაგრძელების მიზნით, კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოსაყვანად. საპროექტო ზონირება მოიცავს უკვე არსებულ გრუნტის გზას და შესაბამისი ფუნქციური ზონით მოეწყობა სრულფასოვანი მისასვლელი გზა. წარმოდგენილი კონტური შეთანხმებულია ტრანსპორტის საქალაქო სამსახურთან ისე, რომ შენარჩუნდეს ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავები, რასაც ასევე ადასტურებს გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2019 წლის 5 თებერვლის №01190363989 წერილი.

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტების გაცნობის შემდეგ, განსახილველ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი, შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 2

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

დადებითად შეფასდეს და მიზანშეწონილად იქნას მიჩნეული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2019 წლის 22 აპრილის **№12-031911251-03 წერილით** წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 1 წინადადება -

№01190262-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანა.

მოისმინეს დღის წესრიგის მეორე საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2019 წლის 6 მაისის №12-03191261-03 წერილი)

სხდომის დღის წესრიგის მეორე საკითხი წარმოადგინა ქ-ნმა ე. ცეცხლაძემ.

მომხსენებლის (ე. ცეცხლაძის) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად დღის წესრიგში დადგა გარკვეული (მათ შორის, ტექნიკური ხარვეზებით გამოწვეული) ცვლილებების შეტანის საკითხი, რაც წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 30 აპრილის №19.479.640 განკარგულებით და დადგენილების პროექტის განმარტებითი ბარათის სახით (სულ: 6 წინადადება - №01190861-67; №01190664055-67; №0119033110-67 და №01190942029-67; №01190913537-67; №01183062966-67; №01190934281-67).

კომისიის სხდომის დამსწრე წევრთა გადაწყვეტილებით, დადგენილების პროექტის განმარტებით ბარათში მითითებული 6 საკითხი (წინადადება) პუნქტობრივად იქნა განხილული.

- განმარტებითი ბარათის „ა“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის „1“ პუნქტი) - **ქალაქ თბილისში, მაჩხაანის ქუჩა №9-ში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.12.14.060.021) ნაწილზე (ფართობი: 3 კვ.მ.) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილების შესახებ (№01190861-67).**

მომხსენებლის (ე. ცეცხლაძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, **№01190861-67 განაცხადით,** ქალაქ თბილისში, მაჩხაანის ქუჩა №9-ში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.12.14.060.021) ნაწილზე (ფართობი: 3 კვ.მ.) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება. მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილებით გასწორება გენერალური გეგმის თანდართულ რუკაში არსებული ხარვეზი.

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტების გაცნობის შემდეგ, განსახილველ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი, შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.

- განმარტებითი ბარათის „ბ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის „2“ პუნქტი) - **ქალაქ თბილისში, მტკვრის ქუჩა №3-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.18.03.009.012, ფართობი: 134 კვ.მ.) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილების შესახებ (№01190664055-67).**

მომხსენებლის (ე. ცეცხლაძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, **№01190664055-67 განაცხადით,** ქალაქ თბილისში, მტკვრის ქუჩა №3-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.18.03.009.012, ფართობი: 134 კვ.მ.) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილება. დაინტერესებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) არსებობა წარმოადგენს მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის თანდართული რუკის ხარვეზს. სატრანსპორტო ზონა ვრცელდება საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთსა და მასზე განთავსებულ შენობა-ნაგებობაზე (შენობა-ნაგებობა ასახულია 2005 წლის ორთოფოტოზე). ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის 2019 წლის 17 აპრილის №01191073490 წერილის შესაბამისად, ფუნქციური ზონის ცვლილებით გასწორდება არსებული ხარვეზი.

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტების გაცნობის შემდეგ, განსახილველ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი, შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.

- განმარტებითი ბარათის „გ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის „3“ პუნქტი) - **ქალაქ თბილისში, რუსთავის გზატკეცილზე, ქარხანა „ელექტროავტომატის“ მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.18.10.003.008; ფართობი: 1425 კვ.მ.) მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) სატრანსპორტო ზონა 2-ით (ტზ-2) ცვლილების შესახებ (№0119033110-67; №01190942029-67).**

მომხსენებლის (ე. ცეცხლაძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, №0119033110-67 და №01190942029-67 განაცხადით ქალაქ თბილისში, რუსთავის გზატკეცილზე, ქარხანა „ელექტროავტომატის“ მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.18.10.003.008; ფართობი: 1425 კვ.მ.) მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) სატრანსპორტო ზონა 2-ით (ტზ-2) ცვლილება. დაინტერესებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) არსებობა წარმოადგენს მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის თანდართული რუკის ხარვეზს. სარეკრეაციო ზონა ვრცელდება საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთსა და მასზე განთავსებულ შენობა-ნაგებობაზე. შენობა-ნაგებობა ასახულია 2005 წლის

ორთოფოტოზე და ფუნქციონირებს როგორც ბენზინგასამართი სადგური. მოთხოვნილი ცვლილებით გასწორდება არსებული ხარვეზი.

განსახილველ საკითხთან დაკავშირებით შეკითხვა დასვა:

ბ-ნმა რ. სოხაძემ - იმ შემთხვევაში, როცა დაინტერესებული პირის მიერ მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება იმ მიწის ნაკვეთებზე, რომელზეც განთავსებულია ავტოგასამართი (ბენზინგასამართი, გაზგასამართი) სადგურები, ურბანული განვითარების საქალაქო სამსახური რა კრიტერიუმებით ხელმძღვანელობს გადაწყვეტილების მიღებისას.

დასმულ შეკითხვას უპასუხა ბ-ნმა ალ. ტოგონიძემ, რომლის განმარტებით, ფუნქციური ზონის ცვლილების განაცხადის განხილვისას, საქალაქო სამსახური ხელმძღვანელობს შემდეგი კრიტერიუმებით:

- ფაქტობრივი გარემოებანი;
- მიწის ნაკვეთის მდებარეობა (ქალაქის ცენტრალური ზონა, შუალედური ზონა, პერიფერიული ზონა);
- მისი საკუთრებაში ფლობის პერიოდი;
- მიმდებარე ტერიტორიაზე (უბანზე) არსებული ბენზიგნასამარი (გაზგასამართი, ავტოგასამართი) სადგურების საჭიროება.

ბ-ნი ალ. ტოგონიძის განმარტებით, იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტულ ზონაში განთავსებულია შეუსაბამო შენობა-ნაგებობა, მას განესაზღვრება შეუსაბამო ობიექტის სტატუსი და მისი შემდგომი განვითარება (ტერიტორიის გაფართოება, ფუნქციის შეცვლა, რეკონსტრუქცია) ხორციელდება მხოლოდ შეუსაბამობის აღმოფხვრის ან შემცირების პირობით ან მზადდება წინადადება ფუნქციური ზონის ცვლილების თაობაზე.

წარმოდგენილი წინადადების (№0119033110-67; №01190942029-67 განაცხადი) განხილვისას, ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურმა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის წერილისა და ობიექტური გარემოებების გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიიჩნია ფუნქციური ზონის ცვლილების განხორციელება. მით უმეტეს, რომ საკადასტრო მიწის ნაკვეთზე დიდი ხნის განმავლობაში მოქმედი ბენზინგასამართი სადგურის გამო დაზიანებულია ნიადაგი და ტერიტორიის სარეკრეაციო ფუნქციით გამოყენება ვერ ხერხდება. ასევე, გათვალისწინებულ იქნა ის გარემოებაც, რომ ტერიტორია აჩქარება-შენელების ზოლშია მოქცეული და მიმდებარე რადიუსში სხვა ბენზინგასამართი სადგური არ ფუნქციონირებს.

შეკითხვა დასვეს ბ-ნმა გ. ტყემალაძემ, ბ-ნმა რ. სოხაძემ და ბ-ნმა დ. უჯმაჯურიძემ - №01.18.10.003.008 მიწის ნაკვეთის საკუთრებაში ფლობის პერიოდის შესახებ.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული საქალაქო სამსახურის წარმომადგენლების მიერ უზრუნველყოფილი იქნა მოთხოვნილი ინფორმაციის სხდომაზე წარდგენა, რომლის თანახმად, №01.18.10.003.008 მიწის ნაკვეთი კერძო საკუთრებაშია 1999

წლიდან, ხოლო ორთოფოტოს მიხედვით, ტერიტორიაზე ბენზინგასამართი სადგურის არსებობა დასტურდება 2005 წლიდან.

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტების გაცნობის შემდეგ, განსახილველ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ სხვა შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.

- განმარტებითი ბარათის „დ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის „4“ პუნქტი) - **ქალაქ თბილისში, ბადიაურის ქუჩა №3-ში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.17.01.100.015) ნაწილზე (ფართობი: 7 კვ.მ.) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 5-ით (სზ-5) ცვლილების შესახებ (№01190913537-67).**

მომხსენებლის (ე. ცეცხლაძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, **№01190913537-67 განაცხადით,** ქალაქ თბილისში, ბადიაურის ქუჩა №3-ში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.17.01.100.015) ნაწილზე (ფართობი: 7 კვ.მ.) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 5-ით (სზ-5) ცვლილება. საპროექტო მიწის ნაკვეთზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) არსებობა წარმოადგენს გენერალური გეგმის თანდართული რუკის ხარვეზს. არსებული სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) გადადის (შეჭრილია) ქვით ნაგებ კედელზე და ჭიშკარზე, რომელსაც ადასტურებს ორთოფოტო და განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ფოტო-მასალა. აღნიშნულიდან გამომდინარე, არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, ფუნქციური ზონის ცვლილებით გასწორდება ხარვეზი.

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტების გაცნობის შემდეგ, განსახილველ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი, შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.

- განმარტებითი ბარათის „ე“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის „5“ პუნქტი) - **ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, ე.წ. „ნუშის ბაღის“ ტერიტორიაზე არსებული მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდი: №01.20.01.012.006, ნაკვეთი: №7; №01.20.01.012.005, ნაკვეთი: №8) მიმდებარედ (ცვლილების ფართობი: 586 კვ.მ.) მოთხოვნილია საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1) და სატყეო ზონის (სატყ) სატრანსპორტო ზონა 1-ით ცვლილების შესახებ (№01183062966-67).**

მომხსენებლის (ცეცხლაძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, **№01183062966-67 განაცხადით,** ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, ე.წ. „ნუშის ბაღის“ ტერიტორიაზე არსებული მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდი: №01.20.01.012.006, ნაკვეთი: №7; №01.20.01.012.005, ნაკვეთი: №8) მიმდებარედ (ცვლილების ფართობი: 586 კვ.მ.) მოთხოვნილია საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1) და სატყეო ზონის (სატყ) სატრანსპორტო ზონა 1-ით ცვლილება. საპროექტო ტერიტორიაზე მოწესრიგებულია მიწის ნაკვეთების რეგისტრაციები, ხოლო არსებული გრუნტის გზა

იძლევა იმის საშუალებას, რომ მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილებით განაშენიანებული არეალი დაუკავშირდეს სატრანსპორტო ზონას, რაც ასევე დასტურდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის 2018 წლის 3 დეკემბრის №0118337362 წერილით.

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტების გაცნობის შემდეგ, განსახილველ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი, შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.

- განმარტებითი ბარათის „ვ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის „6“ პუნქტი) - **ქალაქ თბილისში, ართვინის ქუჩა №17-ში არსებული მიწის ნაკვეთის ნაწილზე (საკადასტრო კოდი: №01.16.04.023.022, ფართობი: 54 კვ.მ.) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონით ცვლილების შესახებ (№01190934281-67).**

მომხსენებლის (ე. ცეცხლაძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, **№01190934281-67 განაცხადით,** ქალაქ თბილისში, ართვინის ქუჩა №17-ში არსებული მიწის ნაკვეთის ნაწილზე (საკადასტრო კოდი: №01.16.04.023.022, ფართობი: 54 კვ.მ.) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონით ცვლილება. საპროექტო ტერიტორიაზე არსებული სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) წარმოადგენს მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის თანდართული რუკის ხარვეზს. ვინაიდან არსებული სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) გადადის (შეჭრილია) საკუთრებაში არსებული მიწის მცირე ნაწილსა და მასზე განთავსებულ შენობა-ნაგებობაზე, ფუნქციური ზონის ცვლილებით გასწორდება არსებული ხარვეზი.

დამატებითი ინფორმაციის სახით აღინიშნა, რომ „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მოწონების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 30 აპრილის №19.479.640 განკარგულების სარეზოლუციო ნაწილის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტში დაშვებული ტექნიკური შეცდომა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის საფუძველზე გასწორდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 15 მაისის №19.517.707 განკარგულებით.

კომისიის წევრების მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია ცნობად იქნა მიღებული.

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტების გაცნობის შემდეგ, განსახილველ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი, შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 2

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

დადებითად შეფასდეს მიზანშეწონილად იქნას მიჩნეული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2019 წლის 6 მაისის **№12-03191261-03 წერილით** წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 6 წინადადება - №01190861-67; №01190664055-67; №0119033110-67 და №01190942029-67; №01190913537-67; №01183062966-67; №01190934281-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანა.

მოისმინეს დღის წესრიგის მესამე საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2019 წლის 21 მაისის №12-0319114129-03 წერილი)

სხდომის დღის წესრიგის მესამე საკითხი წარმოადგინა ქ-ნმა ე. ცეცხლაძემ.

მომხსენებლის (ე. ცეცხლაძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად დღის წესრიგში დადგა გარკვეული (მათ შორის, ტექნიკური ხარვეზებით გამოწვეული) ცვლილებების შეტანის საკითხი, რაც წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 15 მაისის №19.518.706 განკარგულებით და დადგენილების პროექტის განმარტებითი ბარათის სახით (სულ: 2 წინადადება - №01191151653-67; №0119113418-67).

კომისიის სხდომის დამსწრე წევრთა გადაწყვეტილებით, დადგენილების პროექტის განმარტებით ბარათში მითითებული 2 საკითხი (წინადადება) პუნქტობრივად იქნა განხილული.

- განმარტებითი ბარათის „ა“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის „1“ პუნქტი) - **ქალაქ თბილისში, აკაკი ბაქრაძის ქუჩა №7, მარშალ გელოვანის გამზირი №1, მტკვრის მარჯვენა სანაპირო, რესტორან „ვენეცია“-სთან, ავტოტექმომსახურების სადგურის მიმდებარედ, მარშალ გელოვანის გამზირი №27-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.10.10.025.087, ფართობი: 103 596 კვ.მ.) განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად ცვლილების შესახებ (№01191151653-67).**

მომხსენებლის (ე. ცეცხლაძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, **№01191151653-67 განაცხადით,** ქალაქ თბილისში, აკაკი ბაქრაძის ქუჩა №7, მარშალ გელოვანის გამზირი №1, მტკვრის მარჯვენა სანაპირო, რესტორან „ვენეცია“-სთან, ავტოტექმომსახურების სადგურის მიმდებარედ, მარშალ გელოვანის გამზირი №27-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.10.10.025.087, ფართობი: 103 596 კვ.მ.) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 19 აპრილის №118 განკარგულებით შეთანხმებულია განაშენიანების რეგულირების გეგმა, რომელიც საპროექტო ტერიტორიაზე ითვალისწინებს ფუნქციურ ზონებს და მისი განვითარების სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას. აღნიშნულიდან გამომდინარე, საპროექტო მიწის ნაკვეთზე ფუნქციური ზონის ცვლილება შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად, მიზანშეწონილია.

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტების გაცნობის შემდეგ, განსახილველ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი, შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.

- განმარტებითი ბარათის „ბ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის „2“ პუნქტი) - **ქალაქ თბილისში, კახეთის გზატკეცილზე, ფეხსაცმლის ქარხანა „ისნის“ მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.19.21.003.132) ნაწილზე (ფართობი: 3249 კვ.მ.) მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) სარეკრეაციო ზონა 3-ით (რზ-3) ცვლილების შესახებ (№0119113418-67).**

მომხსენებლის (ე. ცეცხლაძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, **№0119113418-67 განაცხადით,** ქალაქ თბილისში, კახეთის გზატკეცილზე, ფეხსაცმლის ქარხანა „ისნის“ მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.19.21.003.132) ნაწილზე (ფართობი: 3249 კვ.მ.) მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) სარეკრეაციო ზონა 3-ით (რზ-3) ცვლილება. ტერიტორია წარმოადგენს გზისპირა სივრცეს და მასზე დაგეგმილია საინვესტიციო პროექტის განხორციელება („მაკდონალდსი“-ს მშენებლობა). ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2019 წლს 1-ლი მაისის №01191212956 წერილის გათვალისწინებით, №01.19.21.003.132 საკადასტრო ტერიტორიის ნაწილზე სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) სარეკრეაციო ზონა 3-ით (რზ-3) ცვლილება მისაღებია.

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტების გაცნობის შემდეგ, განსახილველ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი, შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 2

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

დადებითად შეფასდეს და მიზანშეწონილად იქნას მიჩნეული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2019 წლის 21 მაისის **№12-031914129-03 წერილით** წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 2 წინადადება - №01191151653-67; №0119113418-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანა.

მოისმინეს დღის წესრიგის მეოთხე საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2019 წლის 21 მაისის №12-0319114130-03 წერილი)

სხდომის დღის წესრიგის მეოთხე საკითხი წარმოადგინა ქ-ნმა ე. ცეცხლაძემ.

მომხსენებლის (ე. ცეცხლაძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 13 ნოემბრის №30-105, 2018 წლის 7 დეკემბრის №32-113, 2018 წლის 18 დეკემბრის №33-114 და 2019 წლის 25 იანვრის №36-7 დადგენილებებით ცვლილება შევიდა „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში.

აღნიშნული ცვლილებები არ აისახა ან აისახა ხარვეზებით „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში, რის გამოც, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 7 მაისის №19.502.654 განკარგულებით და დადგენილების პროექტის განმარტებითი ბარათის სახით განმეორებითი განხილვისთვის წარმოდგენილი იქნა 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში ცვლილებების შეტანის საკითხი (სულ: 5 წინადადება - №01183312830-67; №011831437-67; №01182191235-67; №01182763550-67; №01182662-67).

კომისიის სხდომის დამსწრე წევრთა გადაწყვეტილებით, დადგენილების პროექტის განმარტებით ბარათში მითითებული 5 საკითხი (წინადადება) პუნქტობრივად იქნა განხილული.

- განმარტებითი ბარათის „ა“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის „1“ პუნქტი) - **ქალაქ თბილისში, ზაალ დუმბაძის ქუჩა №8, ზაალ დუმბაძის ქუჩა №22, გერგეთის ქუჩის ბოლოს (სოლოლაკის რეზერვუარი), შესახვევი გერგეთი №3, გერგეთის შეს. №3-ის მიმდებარედ, გასასვლელი გერგეთი №8-ში არსებული მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდი: №№01.15.05.070.057, 01.15.07.006.039, 01.15.05.070.071, 01.15.05.070.002, 01.15.05.070.015) მიმდებარედ (ფართობი: 1057 კვ.მ.) სატყეო ზონის (სატყზ), სანიტარული ზონის (სანზ) და საცხოვრებელი ზონა 3-ის (სზ-3) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილების შესახებ (№01183312830-67).**

მომხსენებლის (ე. ცეცხლაძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, **№01183312830-67 განაცხადით,** ქალაქ თბილისში, ზაალ დუმბაძის ქუჩა №8, ზაალ დუმბაძის ქუჩა №22, გერგეთის ქუჩის ბოლოს (სოლოლაკის რეზერვუარი), შესახვევი გერგეთი №3, გერგეთის შეს. №3-ის მიმდებარედ, გასასვლელი გერგეთი №8-ში არსებული მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდი: №№01.15.05.070.057, 01.15.07.006.039, 01.15.05.070.071, 01.15.05.070.002, 01.15.05.070.015) მიმდებარედ (ფართობი: 1057 კვ.მ.) მოთხოვნილია სატყეო ზონის (სატყზ), სანიტარული ზონის (სანზ) და საცხოვრებელი ზონა 3-ის (სზ-3) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება, გზის გაფართოების მიზნით. დაინტერესებაში არსებული ტერიტორია წარმოადგენს საავტომობილო გზის მომიჯნავე არეალს და წარმოდგენილი ტოპო-გეგმის მიხედვით, ხე-ნარგავების დაზიანების გარეშე შესაძლებელია განხორციელდეს გზის გაფართოება. ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2018 წლის 10 დეკემბრის №01183443989 წერილის თანახმად, საკადასტრო მიწის ნაკვეთების მიმდებარედ არსებული გზის რეაბილიტაციის მიზნით, ფუნქციური ზონის ცვლილება მიზანშეწონილია ისე, რომ არ დაზიანდეს საპროექტო ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავები.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ განცხადების შემოტანის დროისთვის მოქმედი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2014 წლის 20 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამისად, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდებოდა ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონა (ლსზ) და სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2). მოქმედი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილების შესაბამისად, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება სატყეო ზონა, საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3) და სანიტარული ზონა (სანზ).

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტების გაცნობის შემდეგ, განსახილველ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი, შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.

- განმარტებითი ბარათის „ბ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის „2“ პუნქტი) - **ქალაქ თბილისში, ვახტანგ გორგასლის ქუჩა №12-ში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.18.05.001.059) ნაწილზე, 39 კვ.მ. ფართობზე მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილების შესახებ (№011831437-67).**

მომხსენებლის (ე. ცეცხლაძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, **№011831437-67 განაცხადით,** ქალაქ თბილისში, ვახტანგ გორგასლის ქუჩა №12-ში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.18.05.001.059) ნაწილზე, 39 კვ.მ. ფართობზე მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილება. დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამისად, წარმოდგენილ მიწის ნაკვეთზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) არსებობა წარმოადგენს მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის თანდართული რუკის ხარვეზს. რეალურად, სატრანსპორტო ზონა ვრცელდება (შეჭრილია) საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის ნაწილზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, ზონის ცვლილებით მოხდება არსებული ხარვეზის გასწორება და ფაქტობრივ (რეალურ) მდგომარეობასთან შესაბამისობაში მოყვანა.

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტების გაცნობის შემდეგ, განსახილველ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი, შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.

- განმარტებითი ბარათის „გ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის „3“ პუნქტი) - **ქალაქ თბილისში, სოფელ გლდანში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №72.13.18.750) ნაწილზე (ფართობი: 1798 კვ.მ.) სარეკრეაციო ზონა 2-ისა (რზ-2) და სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილების შესახებ (№01182191235-67).**

მომხსენებლის (ე. ცეცხლაძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, **№01182191235-67 განაცხადით,** ქალაქ თბილისში, სოფელ გლდანში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №72.13.18.750) ნაწილზე (ფართობი: 1798 კვ.მ.) მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 2-ისა (რზ-2) და სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) ცვლილება საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2). წარმოდგენილი მიწის ნაკვეთის მომიჯნავედ და მიმდებარედ მიმდინარეობს ტერიტორიის განაშენიანება განმცხადებლის მიერ მოთხოვნილი ფუნქციის შესაბამისად, რომელსაც ადასტურებს ის ფაქტი, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ გაცემულია ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობის ნებართვები. დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთი მდებარეობს რეალურად საცხოვრებელი ზონით განვითარებულ არეალში. ასევე, ტერიტორიის მდებარეობა და არსებული მწვანე საფარი იძლევა სამშენებლო განვითარების საშუალებას, ვინაიდან, არსებულ საკადასტრო ერთეულზე არ ფიქსირდება ხე-ნარგავები.

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტების გაცნობის შემდეგ, განსახილველ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი, შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.

- განმარტებითი ბარათის „დ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის „4“ პუნქტი) - **ქალაქ თბილისში, ნავთლუღის ქუჩა №10-ში არსებულ საკადასტრო ერთეულებზე (საკადასტრო კოდი: №№01.17.12.023.062; 01.17.12.023.061; 01.17.12.023.058) და ქალაქ თბილისში, ბაღდადის ქუჩაზე (ნაკვეთი №23/043) (ნაკვეთი №23/040) არსებულ საკადასტრო ერთეულებზე (საკადასტრო კოდი: №№01.17.12.023.059; 01.17.12.023.063; 01.17.12.023.060) განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად ფუნქციური ზონის (ცვლილების ფართობი: 19 960 კვ.მ.) ცვლილების შესახებ (№01182763550-67).**

მომხსენებლის (ე. ცეცხლაძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, **№01182763550-67 განაცხადით,** ქალაქ თბილისში, ნავთლუღის ქუჩა №10-ში არსებულ საკადასტრო ერთეულებზე (საკადასტრო კოდი: №№01.17.12.023.062; 01.17.12.023.061; 01.17.12.023.058) და ქალაქ თბილისში, ბაღდადის ქუჩაზე (ნაკვეთი №23/043) (ნაკვეთი №23/040) არსებულ საკადასტრო ერთეულებზე (საკადასტრო კოდი: №№01.17.12.023.059; 01.17.12.023.063; 01.17.12.023.060) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად (ცვლილების ფართობი: 19 960 კვ.მ.). ვინაიდან, აღნიშნულ საკადასტრო ერთეულებზე „ქ. თბილისში, ისნის რაიონში, ბაღდადის ქუჩაზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.17.12.023.044) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 ნოემბრის №445 განკარგულებით დადგენილია საპროექტო ტერიტორიაზე ფუნქციური ზონები და მისი განვითარების სხვა საჭირო

ინფრასტრუქტურა, ამავე განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად, ქალაქ თბილისში, ნავთლუღის ქუჩა №10-ში (საკადასტრო კოდი: №01.17.12.023.063; №01.17.12.023.061; №01.17.12.023.058) და ქალაქ თბილისში, ბაღდადის ქუჩაზე (ნაკვეთი №23/043) (ნაკვეთი №23/040) არსებულ საკადასტრო ერთეულებზე (საკადასტრო კოდი: №01.17.12.023.059; №01.17.12.023.063; №01.17.12.023.060) ფუნქციური ზონის ცვლილება (ცვლილების ფართობი: 19 960 კვ.მ.) მიზანშეწონილია.

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტების გაცნობის შემდეგ, განსახილველ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი, შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.

- განმარტებითი ბარათის „ე" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის „5" პუნქტი) - **ქალაქ თბილისში, გიორგი ჩუბინაშვილის ქუჩა №14-ში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.16.05.006.005) ნაწილზე (ფართობი: 13 კვ.მ.) სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 5-ით ცვლილების შესახებ (№01182662-67).**

მომხსენებლის (ე. ცეცხლაძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, **№01182662-67 განაცხადით,** ქალაქ თბილისში, გიორგი ჩუბინაშვილის ქუჩა №14-ში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.16.05.006.005) ნაწილზე (ფართობი: 13 კვ.მ.) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 5-ით ცვლილება. დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამისად, წარმოდგენილ მიწის ნაკვეთზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) არსებობა წარმოადგენს მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში არსებულ ხარვეზს და სატრანსპორტო ზონა ვრცელდება (გადასულია) საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთსა და მასზე არსებულ შენობა-ნაგებობაზე. ფუნქციური ზონის ცვლილებით მოხდება ხარვეზის გასწორება და ფაქტობრივ (რეალურ) მდგომარეობასთან შესაბამისობაში მოყვანა.

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტების გაცნობის შემდეგ, განსახილველ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი, შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 2

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

დადებითად შეფასდეს და მიზანშეწონილად იქნას მიჩნეული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2019 წლის 21 მაისის **№12-031914130-03**

წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 5 წინადადება - №01183312830-67; №011831437-67; №01182191235-67; №01182763550-67; №01182662-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანა.

მოისმინეს დღის წესრიგის მეხუთე საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2019 წლის 21 მაისის №12-0319114133-03 წერილი)

სხდომის დღის წესრიგის მეხუთე საკითხი წარმოადგინა ქ-ნმა ე. ცეცხლაძემ.

მომხსენებლის (ე. ცეცხლაძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად დღის წესრიგში დადგა გარკვეული (მათ შორის, ტექნიკური ხარვეზებით გამოწვეული) ცვლილებების შეტანის საკითხი, რაც წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 7 მაისის №19.501.677 განკარგულებით და დადგენილების პროექტის განმარტებითი ბარათის სახით (სულ: 1 წინადადება - №17-0119112165-67(№61-01191094215)).

№17-0119112165-67 (№61-01191094215) განაცხადით, ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის IV მ/რ-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდი: №01.14.01.001.184, №01.14.01.001.183) მიმდებარედ, 236 კვ.მ. ფართობზე მოთხოვნილია სატყეო ზონის ცვლილება სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1). სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 21 მარტის №4449001 ბრძანებით №01.14.01.001.184 საკადასტრო მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა აუტიზმის მქონე ბავშვთა და მოზარდთა სარეაბილიტაციო ცენტრის მშენებლობის არქიტექტურული პროექტი. იმის გამო, რომ დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმით დადგენილი ფუნქციური ზონა (სატყეო ზონა) არ იძლევა საპროექტო ობიექტთან სრულფასოვანი მისასვლელი გზის მოწყობის შესაძლებლობას, დღის წესრიგში დადგა ფუნქციური ზონის ცვლილების საკითხი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის IV მ/რ-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდი: №01.14.01.001.184, №01.14.01.001.183) მიმდებარედ, 236 კვ.მ. ფართობზე სატყეო ზონის სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება მიზანშეწონილია.

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტების გაცნობის შემდეგ, განსახილველ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი, შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 2

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

დადებითად შეფასდეს და მიზანშეწონილად იქნას მიჩნეული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2019 წლის 21 მაისის **№12-031914133-03 წერილით** წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 1 წინადადება - №17-0119112165-67(№61-01191094215)) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანა.

მოისმინეს დღის წესრიგის მეექვსე (მიმდინარე) საკითხი - „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის №34-115 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2019 წლის 22 მაისის №12-031914291-03 წერილი)

სხდომის დღის წესრიგის მეოთხე საკითხი წარმოადგინა ბ-ნმა გ. თალაკვაძემ.

მომხსენებლის (გ. თალაკვაძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის მოცულობა იზრდება 12 000 000 (თორმეტი მილიონი) ლარით და განისაზღვრება 1 075 101 800 (ერთი მილიარდ სამოცდათხუთმეტი მილიონ ას ერთი ათას რვაასი) ლარით, რაც ხორციელდება სესხის სახით მოზიდული სახსრების ქალაქ

თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტში ასახვით, რაზეც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას მიღებული აქვს თანხმობები ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 19 აპრილის №101 და საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მაისის №1074 განკარგულებებით.

ასევე, წარმოდგენილი ცვლილებების პროექტში გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზოგიერთი სტრუქტურული ერთეულის, რაიონის გამგეობების და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციების წინადადებები დამატებითი მოთხოვნების შესახებ, რაც ხორციელდება მიმდინარე საბიუჯეტო წლის პერიოდში ჩატარებული ტენდერებიდან მიღებული ეკონომიისა და სხვადასხვა პროგრამაში/ქვეპროგრამაში გათვალისწინებული ღონისძიებათა ღირებულებების დაზუსტებით გამოთავისუფლებული რესურსების ხარჯზე.

ბიუჯეტის მოცულობის ზრდისა და მოძიებული ეკონომიების გათვალისწინებით, სულ გადანაწილდა 28 046 500 (ოცდარვა მილიონ ორმოცდაექვსი ათას ხუთასი) ლარი. მათ შორის:

იზრდება შემდეგი პროგრამების/ქვეპრიგრამების ასიგნებები:

გზების მშენებლობა და აღდგენა (კოდი: 01 01 01) - 3 500 000 (სამი მილიონ ხუთასი ათასი) ლარით; გზების მოვლა-შეკეთება საბურთალოს რაიონში - 825 400 (რვაას ოცდახუთი ათას ოთხასი) ლარით; საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქცია (კოდი 02 01) – 7 000 000 (შვიდი მილიონი) ლარით; კეთილმოწყობის ღონისძიებები მთაწმინდის რაიონში (კოდი 02 09 19) – 470 000 (ოთხას სამოცდაათი ათასი) ლარით; გამწვანების ღონისძიებები (კოდი: 03 01) – 3 367 800 (სამი მილიონ სამას სამოცდაშვიდი ათას რვაასი) ლარით; თბილისის ზოოლოგიური პარკის განვითარების ხელშეწყობა (კოდი: 03 03 01) - 600 000 (ექვსასი ათასი) ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა მთაწმინდის რაიონში (კოდი: 05 01 17) – 150 000 (ას ორმოცდაათი ათასი) ლარით; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკურორტო მომსახურება (კოდი: 06 02 04 01) – 210 000 (ორას ათი ათასი) ლარით; წყალმომარაგების სისტემის მოწესრიგება გლდანის რაიონში (კოდი: 06 02 20 01) – 189 000 (ას ოთხმოცდაცხრა ათასი) ლარით; მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების ხელშეწყობა (კოდი: 07 03 03) -1 087 200 (ერთი მილიონ ოთხმოცდაშვიდი ათას ორასი) ლარით; თბილისის საშემსრულებლო ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი (08 01 03) – 300 000 (სამასი ათასი) ლარით; ხელოვნების ძეგლებისა და პანთეონების მოვლა-პატრონობა (კოდი: 08 04 03) – 50 000 (ორმოცდაათი ათასი ლარით); სპორტული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და მშენებლობა (კოდი: 08 06 04) – 78 900 (სამოცდათვრამეტი ათას ცხრაასი); ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა (კოდი: 08 08 01) – 490 000 (ოთხას ოთხმოცდაათი ათასი) ლარით; ცხოველთა მონიტორინგი (კოდი: 09 01) – 118 000 (ას თვრამეტი ათასი) ლარით; სარეზერვო ფონდი (კოდი: 10 26) – 500 000 (ხუთასი ათასი) ლარით.

გარდა ამისა, ბიუჯეტში ემატება ახალი ქვეპროგრამა საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაცია (კოდი: 01 02 02) – 8 389 200 (რვა მილიონ სამას ოთხმოცდაცხრა ათას ორასი) ლარის ოდენობით მეტროს ვაგონების მოდერნიზაციისთვის.

მცირდება შემდეგი პროგრამები/ქვეპროგრამის ასიგნებები:

გზების მოვლა-შეკეთება მთაწმინდის რაიონში (კოდი: 01 01 17) - 370 000 (სამას სამოცდაათი ათასი) ლარით; სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები (კოდი: 01 02 01) – 218 000 (ორას თვრამეტი ათასი) ლარით; სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა, პროექტის ექსპერტიზა, ლაბორატორიული კვლევები და სხვა ღონისძიებები (კოდი: 02 03 02) – 21 000 (ოცდაერთი ათასი) ლარით; ღონისძიებების უზრუნველყოფა (კოდი: 02 07) – 126 400 (ას ოცდაექვსი ათას ოთხასი) ლარით; უკანონო ნაგებობების დემონტაჟი (კოდი: 02 09 09) – 37 600 (ოცდაჩვიდმეტი ათას ექვსასი) ლარით; კეთილმოწყობის ღონისძიებები გლდანის რაიონში (კოდი: 02 09 10) – 189 000 (ას ოთხმოცდაცხრა ათასი) ლარით; კეთილმოწყობის ღონისძიებები საბურთალოს რაიონში (კოდი: 02 09 15) – 375 400 (სამას სამოცდათხუთმეტი ათას ოთხასი) ლარით; სასწრაფო სამედიცინო დახმარება (კოდი: 06 01 01) – 22 900 (ოცდაორი ათას ცხრაასი) ლარით; სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობა (კოდი: 07 01 02) – 8 286 000 (რვა მილიონ ორას ოთხმოცდაექვსი ათასი) ლარით; თბილისის მთავარი ბიბლიოთეკების განვითარების ხელშეწყობა (კოდი: 07 03 01) – 1 087 200 (ერთი მილიონ ოთხმოცდაშვიდი ათას ორასი) ლარით; მერიის ადმინისტრაციის ასიგნებები (კოდი: 10 02) – 26 700 (ოცდაექვსი ათას შვიდასი) ლარით; ფინანსთა სამინისტროსგან აღებული სესხის მომსახურება (ევროპის რეკონსტრქუციისა და განვითარების ბანკი (EBRD)) (კოდი: 10 42) – 2 000 000 (ორი მილიონი) ლარით.

კომისიის კომპეტენციიდან გამომდინარე, განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა შემდეგ პროგრამებზე:

1. **გამწვანების ღონისძიებები (კოდი: 03 01) - დაფინანსება იზრდება:** 3 367 800 (სამი მილიონ სამას სამოცდაშვიდი ათას რვაასი) ლარით, რომლის ფარგლებშიც განხორციელდება ქალაქ თბილისში, კახეთის გზატკეცილის და ევროპის ქუჩის შუა ზოლში არსებული გამწვანებული ტერიტორიის აღდგენა-მოწყობის პროექტი.
2. **თბილისის ზოოლოგიური პარკის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა (03 03 01) - დაფინანსება იზრდება:** 600 000 (ექვსასი ათასი) ლარით, რომლის ფარგლებშიც იგეგმება ცხოველების ვოლიერებისა და სხვა მომსახურების შესყიდვა.
3. **ცხოველთა მონიტორინგის პროგრამა (კოდი: 09 02) - დაფინანსება იზრდება:** 118 000 (ას თვრამეტი ათასი) ლარით, რომლის ფარგლებშიც იგეგმება მედიკამენტებისა და სახარჯი მასალის, ძაღლების საკვების, ბირკვებისა და სხვა მომსახურების შესასყიდვა.

განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის მოსმენის შემდეგ შეკითხვა დასვა:

ბ-ნმა ლ. ჯაფარიძემ - ცხოველთა მონიტორინგის პროგრამის (კოდი: 09 02) ფარგლებში დაზიანებული ავტოტრანსპორტის შეკეთების დაფინანსების გაზრდის თაობაზე.

მომხსენებლის, ბ-ნი გ. თალაკვაძის განმარტებით, ცხოველთა მონიტორინგის პროგრამის გაზრდილი დაფინანსების ფარგლებში ასევე გათვალისწინებულია დაზიანებული ავტოტრანსპორტის შეკეთების თანხაც.

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტების გაცნობის შემდეგ, განსახილველ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ სხვა შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 2

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

მთლიანობაში **დადებითად შეფასდეს** და **მიზანშეწონილად იქნას მიჩნეული** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2019 წლის 22 მაისს **№12-031914291-03** წერილით წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის №34-115 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ერეკლე კუხიანიძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: ერეკლე კუხიანიძე